

აწმყოდან შორს - მოგონებების მიჯნაზე

ისტორია გონივრულად მომხდარი მოვლენებით იწერება, რომელსაც გონიერი ადამიანი ქმნის. ისტორია გვიყვება ამ პიროვნებების მოღვაწეობაზე, მათ საზოგადოებრივ წვლილზე, ჩვენგან კი მათ მიერ დატოვებული კვალის დაფასებას, პატივისცემასა და შენარჩუნებას ითხოვს.

საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიას არაერთი გმირი მეფე მოუხსენებია. მათ შორის არის, ერის სიყვარულის გამო, „პატარა კახად“ წოდებული ერეკლე მეორე. ისტორიის გვერდებმა შეოგვინახა ჩვენამდე მოღწეული არაერთი ფოლიანტი მეფეზე. ერთი შეხედვით, ეს დოკუმენტები დუმან, არაფერს აბობენ. თუმცა, ისტორია ხომ ის ფენომენია, რომელიც, თითქოს ჩვეულებრივ ფურცლის ნაფლეთს წმიდათაწმინდა წარსულის მაცნედ გადააქცევს. ასე წარმოგვიჩენს ერთი „უბრალო ნაწერი“ ქვეყნის თავისუფლებისთვის თავგანწირულ, მეზრძოლ ერეკლე მეფეს მზრუნველ მამად.

წერილის კითხვისას ვგრძნობდი, რომ გარდასული საუკუნის ბინადარი გავხდი. ნელ-ნელა მოვავლე თვალი ჩემ ირგვლივ არსებულ უცნობ გარემოს, რომლის შესახებაც ადრე არ ვიცოდი. თვალწინ წარმომიდგა ჭრელი ფარდაგებით და ნატებით დაფენილი ბნელი ოთახი, მთვარის ელვისფერი შუქი, რომელიც სარკმლიდან შემოღწევას და სიბნელის გაქარწყლებას ცდილობს. ოთახში გამეფებულ სიჩუმეს სარკმლის წინ მჯდომი დაღლილი მამაკაცის სუნთქვა არღვევს. ერეკლეს სულის სარკედ ქცეული, ძლიერი ხელი სანთელს ანთებს, მაგიდასთან ჯდება, იღებს კალამს და ღრმად ჩაფიქრებული სარკმლიდან შემომავალ მთვარის შუქს აკვირდება. თავის გონებას და ფიქრს მთვარეს ანდობს. ალბათ, ფიქრობს, რომ მთვარეს შეუძლია დახმარება, ის ხომ უამრავი სასწაულის მხილველია. ადამიანები იღუპებიან, მათ ისტორიებს კი მთვარე ინახავს. შემდეგ საწერს ისევ დინჯად იმარჯვებს და თითქოს მთვარისგან შთაგონებული იწყებს წერას.

სამშობლოს ბედით, ერის მომავლით და ქალიშვილის მონატრებით გამოწვეული გრძნობების გადმოცემას ცდილობს. არ სურს შორს მყოფმა ქალიშვილმაც განიცადოს სევდა, რომელიც ერეკლეს გული მოუცავს.

თვალწინ დაუდგა ცქრიალა ასული, რომელიც ვაკვაცური გამბედაობით გამოირჩევა. თეკლა ერეკლესთვის იდეალია, რომელსაც ყველა ქალმა უნდა მიზამოს. თეკლაზე ფიქრი გულს უთბობს და სიამაყით იხსენებს, როგორ გაბედულად გადაწყვიტა სამშობლოს კეთილდღეობისთვის სრულიად უცხო მხარეში წასვლა, როცა რამდენიმე მეომარს თვალეში შიში გამოუკრთოდა.

„ხუმრობანარევი“ მიმართვით „თეკლა ბიჭო!..“ უსაზღვრო სითბო ეღვრება სულში, ის ხომ მისი ჩაუქრობელი იმედი და სიხარულია. შვილთან დაკავშირებული ყოველი მოგონება დარდს უფროდაუფრო ავიწყებს. ახსენდება 5 წლის თეკლას თავდაჯერებული გამომეტყველება, როცა მამას ფარიკაობის სწავლას სთხოვდა. ფიქრობს, როგორ მოხდა, რომ გარემოებების გამო შვილს უფლებას არ აძლევდა, ეკეთებინა ის, რაც მას აბედნიერებს.

თეკლა ყოველთვის ცდილობდა სამშობლოს ბედით შეწუხებული მამის ცხოვრებაში ბედნიერი წუთების შეტანას. ახლაც, სწორედ თეკლაზე ფიქრმა გაუქარწყლა ერეკლეს სევდა. ახსენდება წასასლელად მომზადებული თეკლას სიტყვები, რომ დედ-მამის დალოცვა მხნეობას ჰმატებდა, ამიტომ ერეკლემ წერილი დალოცვით დაიწყო. სახეზე ღიმილი გამოუკრთა როცა ასულის „არაბული“ კალიგრაფია გაახსენდა. გაახსენდა ადრინდელი წერილი, რომლის დიდი ნაწილის წაკითხვა ვერ მოახერხა გაურკვევლად დაწერილი სიტყვების გამო. იფიქრა, იქნებ „თარჯიმანი“ მაინც გამომეყოლებინა და გამეგორა სურს ჩემს თვალის ჩინსო. თეკლას ხელნაწერიდან ბევრი ვერაფერი შეიტყო, მაგრამ განა როგორ შეეძლო მონატრებისგან დაღონებულ ერეკლეს გაეკიცხა ასული? საყვედურის ნაცვლად, ერეკლემ თავისი ქალიშვილის საამაყო გონიერება აღნიშნა, რითაც მამისგან მოშორებით მყოფ, გამბედავ ქალიშვილს უფრო მეტი მხნეობა შეჰმატა.

ცოტა ხნით შეისვენა, ისევ მთვარეს მიაპყრო მზერა, მონუსხული შესცქეროდა ვარსკვლავებით მოოჭვილ ცას. ოცნების ზმანებებში გახვეული თითქოს რაღაცამ გამოაღვიძა, მოსწყვიტა ფიქრებს და უკან, ისევ წერილთან დააბრუნა. გაახსენდა ბავშვობიდანვე მხიარულებას რომ ჰგვრიდა თეკლას სახეს ტკილელული, ახლა წლები მოემატა, თუმცა ერეკლესთვის ის ისევ უდარდელი, მამაცი ბავშვი იყო, რომელსაც ნუგბარი ბედნიერებად მიაჩნდა. ტკბილელული არც ისე „ძვირადღირებული“ საჩუქარია მეფისგან, მაგრამ ნებისმიერი საჩუქარი, მამისგან მოძღვნილი, ხომ ფასდაუდებელი და განსაკუთრებულია.

ერეკლეს თვალიდან ცრემლი გადმოუცურდა, თუმცა ეს არ იყო მონატრებით გამოწვეული. ეს ის ცრემლია, სიყვარულის ალი რომ გაჰკრავს ხოლმე. ეს ერთადერთი ცრემლია, რომელიც ადამიანს ბედნიერებას ანიჭებს. სახე ღიმილმა მოიცვა, აი, იმ ღიმილმა, უსაზღვრო ბედნიერება რომ იწვევს. ნაკვთები სულ სხვანაირად გამოუკრთა, მეტად უჩვეულო ფერი დაედო, სიყვარულის ფერი. რთულია გადმოსცე ეს უჩვეულო „ფერი“, თუმცა, რომ შეხედავდი, იტყოდი - „აი, ასე გამოიყურება სიყვარული!“.

წერილის წაკითხვამდე მეგონა, რომ ქართველი მეფეები, თავიანთ შვილებთან დროს არ, ან ვერ ატარებდნენ. რაც საქართველში არსებული დაუძინებელი მტრებით, ან შიშინანობით იყო გამოწვეული. მეფეები ხომ სამეფო პრობლემებით იყვნენ დაკავებული, დრო არ რჩებოდათ შვილების, განსაკუთრებით ქალიშვილების, უკეთ გასაცნობად, რომლებსაც სამეფოს დამოუკიდებლად მართვის მოვალეობაც არც თუ ისე ხშირად შეაწუხებდათ. ამ წერილმა დამანახა, რომ მშობელსა და შვილს შორის არსებული უანგარო სიყვარული ყველა მშობლის გულს თანაბრად ეფინება და ათბობს, არ აქვს მნიშვნელობა რომელი ეპოქის, ან სოციალური სტატუსის წარმომადგენელია.

ვფიქრობ, რომ სახელოვანი ერეკლესათვის ყველაზე დიდი ფსეულობა სამშობლოსა და მოყვასის სიყვარულია. ის „ვერტიკალური და ბრუნვადი“ სასწაული, რომელიც ადამიანის სიცოცხლეს ფასეულს ხდის, ბრძოლას კი აზრს სძენს.